ტფილისი

№ 132

ხუთშაბათი 24 ივნისი, 1899 წ.

1877—1899

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10— | 6 | 6— |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8— | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

# ივერია

№ 132

ხუთშაბათი 24 ივნისი, 1899 წ.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად** უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

გაზეთი „ივერია" პირველ ივნისიდგან წლის დამლევამდე ეღირება **6** მან. **50** კაპ.

**თავ. სვიმონ თომას ძე ანდრონიკაშვილი** შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა, რომ 1-ლ ივლისს, ბოდბის წმ. ნინოს მონასტერში გარდახდილი იქმნება წლის წირვა და პანაშვიდი

**კნეინა თეზრონია გიორგის ასულის ანდრონიკაშვილის**

სულის მოსახსენებლად. (1—89—1)

## საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელი მეთვრამეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1899—1900 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო გეოგრაფია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა-გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სასახლე ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და მთის ქუჩაზედ, ავლაბრის ბირჟასთან.

პროგრამმები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. ზ. მანუელიანცს, ტფილისს. (24—3)

**«ივერიის» რედაქციისაგან.** ვისაც სურს, რომ პირველ ივლისიდგან გაზეთის გზავნა არ მოესპოს, უნდა წარმოადგინოს გაზეთის ხვედრი ფული ივლისისავე პირველ რიცხვამდე.

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ფ. ი. ზაზანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** 1½—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი** 7½—8 საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.**

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(—1—წ).

## მთავრობის განკარგულებანი.

ებოძა ვერცხლის მენდალი წარწერით: „სატუსაღოში უმწიკვლო სამსახურისათვის" ტფილისის საგუბერნიო სატუსაღოს ზედამხედველს ივანე მეკოკაშვილს.

## ახალი ამბავი

*** 22 ივნისს კავკასიის მთავარმართებლის თანაშემწე გენ.-ლეიტ. ა. ა. ფრეზე კოჯორში გაემგზავრა.

*** ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა 25 ივნისს განიხილავს ქართულ წარმოდგენების მოწყობა-მომართვის საქმეს.

*** სავაჭრო ამხანაგობის „შუამავლის" საზოგადო კრებამ აირჩია ამხანაგობის საქმეთა გამოსაკვლევად საგანგებო კომისია, კომისიის წევრებად არიან: კარიჭაშვილი, კოლეღიშვილი, რატიანი, ჩხარტიშვილი, ხირსელაშვილი და გუნია. ამ კომისიამ ორის კვირის განმავლობაში უნდა მოსძებნოს საშვალებანი ამხანაგობის საქმეთა გასაუმჯობესებლად.

*** ამიერ კავკასიის საქალებო ინსტიტუტში განთავისუფლდა სამი ადგილი მოსწავლე ქალთა სახელმწიფო ხარჯზედ მისაღებად. ორს ადგილზედ მიღებულ იქმნენ კენჭისყრით: აზნაურის ქალი სოფიო გვარამაძე და თავადის ქალი ელისაბედ სუმბათაშვილი.

*** კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ გაუქმებულ იქმნას ქალაქის საბჭოს დადგენილება, რომლის ძალითაც დიდუბის ქუჩა უნდა გაყვანილ იქმნას მუშტაიდის მისახვევამდე საბალოსნო სკოლის ბაღზედ.

*** ქალაქის საბჭოს შემდეგი კრება დანიშნულია დღეს, 24 ივნისს.

*** ამას წინად ტფილისის მაზრის სოფ. გოუბანსა, ბორბალოსა, ერფისსა და ვაშლოვანში სეტყვას წაუხდენია ვენახები და ნათესი 1810 დესეტინის მანძილზედ. ზარალი უდრის 6,000 მანეთს.

*** ქუთაისის ქალაქის საბჭოს თავისს უკანასკნელ სხდომაზედ გადაუსინჯავს თავისი დადგენილება წყლის მილების გაყვანის შესახებ და, ხანგრძლივის კამათის შემდეგ, 32 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 5-ისა, დაუდგენია: არ იქმნას შეწყნარებული შუამდგომლობა მთავრობისაგან სესხის აღების შესახებ და გაყვანილ იქმნას წყლის მილები საკონცესიო წესით, რისთვისაც მიენდოს ქალაქის გამგეობას კონცესიონერთა გამოწვევა განცხადებით და დანიშნოს ამის ვადად ამ წლის 1 ლი სექტემბერი.

*** 1-ლ ივლისისათვის ტფილისის ოლქის სასამართლოში დანიშნულია განსახილველად საქმე რაჭის მაზრის ჩვიდმეტის წლის გლეხის ექვთიმე გუგუშვილისა, რომელსაც ის ბრალი ედება, რომ მისის ძმის მოკვლისათვის შურის საძიებლად მან 18 ოქტომბერს 1898 წ. სასიკვდილოდ დანით დასჭრა სიმონ გუგუშვილი, რომელიც ამის გამო მეორე დღესვე გარდაიცვალა. ბრალდებული დაპატიმრებულია ტფილისის საგუბერნიო სატუსაღოში.

*** რძის მეურნეობის საერთა-შორისო გამოფენის და სოფლის მეურნეთა კრების გამგე კომიტეტმა სთხოვა ტფილისის ქალაქის მოურავს პეტერბურგიდგან, გაავრცელეთ ტფილისის მცხოვრებთა შორის გა-

## ფელეტონი

### სასტუმრო თოვლში

(ფსიხოლოგიური ეტიუდი გიუ-დე მოპასანისა)

(დასასრული *)

მაინც სად არის? მთანი ისეთი მაღალნი და საშიშნი არიან, მეტადრე ამისთანა დროს, რომ საჭირო იყო ათის, ან ოცის კაცის შოვნა და რვაცხრა-დღით შემოვლა არემარისა ერთის კაცის საპოვნელად.

ულრიხმა-კი გადასწყვიტა, თუ გასპარა შუადამემდის არ მოვიდა, თითონ წასულიყო საპოვნელად, ძაღლის დახმარებით.

მოემზადა წასასვლელად, ხურჯინში ორის დღის საგძალი ჩაიდო, წელზედ შემოიხვია გრძელი, მაგარი თოკი, გაირჭო ცული ყინულებზედ სადგმურების გასაკეთებლად. ასე გამზადებული ცოტა ხანს კიდევ ჩამოჯდა და მოუცადა, ბუხარში ცეცხლს გიზგიზი გაჰქონდა, ძაღლი იმის წინ ტკბილად ხვრინავდა, კედლის საათი წყობისად სცემდა, თითქოს ვისიმე გული სძგერს ამ ხის მანქანაშიო.

ულრიხი წყნარად იჯდა, მთლად სმენად გადაქცეული, ქარი-კი ჰზუზუნებდა, თოვლს აყრიდა სასტუმროს და შიშის ჟრუანტელსა ჰგვრიდა საბრალოს.

საათმა თორმეტი დაჰკრა, ის შეხტა, იგრძნო რომ სიცივისაგან ცახცახებდა; ცეცხლზე ჩაიდანი შემოსდგა ყავის გასაკეთებლად, რომ გზას ტან-შემთბარი შესდგომოდა.

ერთის საათის შემდეგ გამოაღვიძა ძაღლი, გააღო კარი და ველდშტრუბელისაკენ გაემართა. მთელი ხუთი საათი შეუფერხებლივ შედიოდა მთაზედ, სჩეხავდა თოვლ-ყინულს და ძლივს რის ვაი-ვაგლახით მიდიოდა. ხან, სადაც ძაღლს ასვლა არ შეეძლო, თოკს აბავდა და ისე მიათრევდა ხოლმე. სრული ექვსი საათი იქნებოდა, როცა იმ მწვერვალს მიაღწია, სადაც ისე ხშირად დადიოდა გასპარა.

იქ კი შესდგა და მზის ამოსვლას მოუცადა, მზე დღეს თითქოს ამოსვლას არ აპირებსო, ისე ნელად იძროდა. ბოლოს როგორც იყო ამოცურდა, მთის მწვერვალებს სხივი სტყორცნა; სალამი მისცა იქაურობას და ალისფრად დააწყებინა ბრწყინვა დიდებულ ალპიის მთებს.

ულრიხი ხელ-ახლად შეუდგა გზას. მიდიოდა და თან მარჯვე ფეხის დასადგმელებს ეძებდა, ერთის ფეხის გადადგმა იყო საჭირო, რომ თვალ ჩაუწვდენელ უფსკრულში საუკუნოდ დაღუპულიყო.

— მოძებნე, ცუგრიავ, მოძებნე! დაუსრულებლივ უმეორებდა ძაღლს.

ამგვარად ხან მთის ჩაუვალ უფსკრულებში ჩადიოდ-ადიოდა, აცეცებდა თვალებს და დრო-გამოშვებით ხმა-მაღლა უყვიროდა ამხანაგს; ხან თითქოს ეჩვენებოდა, რომ ვიღაცის ხმა ისმისო, თოვლზედ წვებოდა და დიდხანს ყურს უგდებდა. გარბოდა იქით, საიდგანაც ხმა ესმოდა, უძახდა, უყვიროდა და რომ არავის ჰხედავდა, დაქანცული თოვლზედ ეშვებოდა დასასვენებლად. შუადღისას ისაუზმა, ძაღლსაც, რომელიც იმაზედ ნაკლებ არ დაქანცულიყო, აჭამა პური და ხელ-ახლად შეუდგა ძებნას.

საღამომ უსწრო, დღეს იმან 50 კილომეტრამდის გაიარა. სახლი-კი ისე შორს იყო ეხლა, რომ იქ წასვლა ყოვლად შეუძლებელი იყო. ამის გარდა სიარულისაგან ისე იყო დაქანცული, რომ ფეხის გადადგმაცკი ვერ შეეძლო. იმან გამოღრუტნა თოვლი და ძაღლიანად შიგ შეძვრა. დაწვნენ ერთად, ნაბადი წამოიხურეს ორივემ, მაგრამ მაინც სციოდათ, ყინვამ ძვლებამდის შეატანათ.

ულრიხს ლული არ ეკიდებოდა, ახალ-ახალი მოჩვენება მოსვენებას არ აძლევდა.

ინათლა თუ არა, წამოდგა. ფეხები მთლად დაჰხუთვოდა, სული შესწუხებოდა, მზად იყო ეყვირნა, ეტირნა მეტის მწუხარებისაგან. გული ძალზედ უცემდა, მღელვარებისაგან ძლივს იმაგრებდა თავს, რა ეჩვენებოდა, რომ შორით ვიღაც უძახდა.

უცებ გაიფიქრა, რომ სიცივეს შეიძლება კიდეც მოეკლა იგი ამ თოვლის უდაბნოში და ამ გახსენებამ ისე შეაშინა, რომ უკანასკნელი ღონე მოიკრიბა, თავს დასძლია და შინისკენ გამობრუნდა. გზაზე ეცემოდა, ვარდებოდა, ისევ-ისე სდგებოდა, იკრებდა უკანასკნელს ძალას და როგორც იყო მიდიოდა, ძაღლიც, ნაკლებ არ დაქანცული, ძლივს მიათრევდა ფეხებს.

მხოლოდ საღამოს ოთხს საათზედ ძლივს მიაწწიეს სახლამდის. სახლში არავინ არ დახვდათ. ულრიხმა ცეცხლი დაანთო, ივახშმა და საჩქაროდ მიწვა, იმდენად დაღლილი და შეწუხებული, რომ აღარაფერზედ არ შეეძლო ფიქრი. დიდხანს ეძინა ასე გაუნძრევლად, უცებ თითქო ვიღაცამ გააღვიძა და ხმა შემოესმა: „ულრიხ!" ამ ხმამ გამოიყვანა იგი ღრმა ძილიდგან და ფეხზედ წამოდგა. რა ამბავია? ცხადლივ არის, თუ სიზმარში? ან იქნებ მოჩვენება იყო? არა, იმას ჯერ ისევ უზზუის ყურში ის ხმა, თავისს სახელი გარკვევით გაიგონა. უთუოდ არის ვინმე აქ სახლის გვერდით?.. უსათუოდ... გამოაღო კარი და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დაიყვირა.

— გასპარ, შენ ხარ?

პასუხი არსით იყო, ოდნავაც არაფერი იძროდა, არაფერი ჩუჩუნებდა, ბნელი ღამე იყო, მთვარე არსად სჩანდა.

ამოვარდა ქარი, ის არა ჩვეულებრივი ქარი, რომლისგან კლდენიც-

*) იხ. „ივერია" № 131.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოფენის წესები და კრების პროგრამაო.

*** 22 ივნისიდგან, რადგან დროებით გამგებლობა გადამდებ სენით ავადმყოფთათვის გამართულ ფარდულებისა ქალაქის ექიმს გულულიანცს მიენდო და საქალაქო საავადმყოფოს განყოფილებისა კუკიაში — ექიმს კასუმოვს, საექიმო სასანიტარო ინსპექტორმა ბ-ნმა სტეფანოვმა ახლად გაანაწილა შრომა ქალაქის ექიმთა შორის, და აგრეთვე დროებით ორი ექიმი მოიწვია — შაველდოვი და მირაკოვი.

ახალის დადგენილებით, პოლიციის 1 და მე-2 ნაწილს განაგებს ექიმი ქალი თომინა-ოსიპოვისა, მე-3 ნაწილს და ბაზრებსა ექიმი გედალინი, მე 4 ხე და მე-5 ნაწილს ექიმი გონიევი, მე-6 ნაწილს — ექიმი ტერ-ასატუროვი, მე-7 ნაწილს — ექიმები მირიკოვი და გულულიანცი, მე-8, მე-9 და მე-10 ნაწილს — ექიმები კასუმოვი და შაველდოვი.

*** შემოდგომაზედ ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის 1-ლ დროებითის განყოფილების სხდომები დაიწყება შემდეგს ქალაქებში: გორში 6-დგან 16 სექტემბრამდე, ახალქალაქსა და ახალციხეში — 20 სექტემბრიდგან 5 ოქტომბრამდე და ს. შულავერში — 9-დგან 17 ოქტომბრამდე.

*** ქალაქის მოურავმა ტფილისის გუბერნატორს წარუდგინა დასამტკიცებლად საბჭოს დადგენილება ცხენის რკის გზის წარმოებისათვის კონცესიონერთა მოწვევის შესახებ და საბჭოს მიერ მოწონებული უმთავრესი პირობები კონცესიისა.

*** საფინანსო კომისიამ შეიმუშავა განსაკუთრებული მოხსენება, რომლითაც ყოველ-წლიურ საგანგებო კრედიტს გარდა თხოულობს ქუჩების მოსაკირწყლავად კიდევ ზედმეტ ფულის გადადებას იმ შემთხვევაში, როცა თვით სახლის პატრონები მონაწილეობას მიიღებენ ქუჩების მოსაკირწყლავ ხარჯებში.

*** მოსკოვის ქუჩის სახლის პატრონებმა სთხოვეს ქალაქის გამგეობას, გაიყვანეთ ჩვენს ქუჩაზედ წყლის არხები ჩვენს ხარჯზეო. ქალაქის გამგეობამ მიანდო ტეხნიკოსს გეგმისა და ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა და სახლის პატრონებს-კი განუმარტა, რომ მათ ქუჩის მოსაკირწყლავად თავისს დროზედ უნდა გადაიხადონ ფული.

*** 21 ივნისს წყლის განსაცდელისაგან დამხსნელ სადგურის მცურავი წერეთელი, რომელიც საუკეთესო მცურავად ითვლებოდა, დანაძლევებია ერთს თვისს ამხანაგს ბაკუნოვს, შენზედ უფრო მალე გავცურავ მტკვარსაო, და კიდეც შეუცურნია წყალში. წერეთელი მთვრალი ყოფილა და, ვიდრე მეორე ნაპირს მიაწევდა, ღონე დაჰკარგვია და ჩაუძირავს. შემდეგ ერთხელ კიდევ ამოუყვია წყლიდგან თავი და დაუძახნია ბაკუნოვისათვის, ხელი მომაწოდეო, მაგრამ ბაკუნოვს ყურადღება არ მიუქცევია ამ თხოვნისათვის, რადგან ჰგონებია, წერეთელი იგონებს დარჩობასაო, და განუგრძია ცურვა, ხოლო როცა უკან მიუხედნია, უკვე გვიანღა ყოფილა, თუმცა მოუწასინებია ამხანაგის შველა. წერეთელი მორევს უკვე ჩაეთრია და დაერჩო.

*** რადგან კავკასიაში დამშეულ გუბერნიებიდგან მომავალ მუშებს ავადმყოფობა შემოაქვთ, ამის გამო კავკასიის რკინის გზის სამმართველოს შეუმუშავებია წეს-რიგი სენის შემოტანის წინააღმდეგ.

*** დუშთის მაზრის ადმინისტრაციას გადაუწყვეტია, არჩეულ იქმნან მაზრაში სოფლის მამასახლისებად ადგილობრივი თავადაზნაურნიო. ჯამაგირად ამ მამასახლისებს ექმნებათ 600 მან. წელიწადში, ამას გარდა ფული უნდა გაიდოს კანცელარიისა, მწერლისა და ორის დარაჯის შესანახად. ამის გამო რამდენსამე სასოფლო საზოგადოებას შუამდგომლობა აღუძრავს საგუბერნიო ადმინისტრაციის წინაშე იმის შესახებ, რომ მათ დარჩეთ მამასახლისის არჩევის უფლება, და ამასთან განუცხადებია, რომ მათ, როგორც ხელმოკლე საზოგადოებას, მძიმე ტვირთად დააწვებათ „ინტელიგენტ“ მამასახლისის შესანახი ხარჯიო.

*** „კავკ.“-ს ატყობინებენ, რომ „ტფ. ფ.“-ის მიერ გადმოცემული ამბავი, ვითომ სასულიერო მთავრობას გადაეწყვიტოს გურია-სამეგრელოს ეპარქიის კათედრის გადატანა ფოთიდგან ოზურგეთში, ყოველ საფუძველს მოკლებულიაო.

*** 22 ივნისს ნინო-წმიდის მცხოვრებმა იოსებ მოსიევმა გამოუცხადა პოლიციას, რომ კახეთის ქუჩაზედ ჯიბგირებმა ამომაცალეს ქისა, რომელშიაც 60 მანეთი იყოო. პოლიცია შეუდგა ჯიბგირების ძებნას.

## გორის ოლქის სამღვდელოების დეპუტატთა კრების გამო.

15—18 ივნისს გორის ოლქის სამღვდელოების დეპუტატებს გორში კრება ჰქონდათ გორის სასულიერო სასწავლებლის შესანახ ხარჯის დასამტკიცებლად. სასწავლებლის ყოველ მხრით დაკმაყოფილებას დიდი ხარჯი უნდება, მაგრამ, სამწუხაროდ, სამღვდელოება იძულებული იყო სასწავლებლის მრავალი საჭიროება დაუკმაყოფილებელი დაეტოვებინა უსაშუალობისა გამო. ჯერ ერთი, გორის ოლქის სამღვდელოებას აწევს 30,000 მანეთი ვალი უწმიდესის სინოდისა, რის გასასტუმრებლადაც ყოველ წლივ იხდის 2,400 მანეთს, ე. ი. 8%. ეს ვალი სასწავლებლის შენობის აგებაზე დაედვა სამღვდელოებას. ამას გარდა სასწავლებლის შესანახად ეხარჯება სამღვდელოებას ექვსას თუმანზე მეტი და მთელ გორის სასულიერო სასწავლებლის ოლქში-კი მხოლოდ ას ოცამდე მრევლია. ეს გადასახადი ღარიბ სამღვდელოებისათვის საგრძნობელია. ვგონებ არც ერთი წოდება არ იხდის ამდენ ფულს ყოველ წლივ სასწავლებლებისათვის.

სასწავლებლის შესანახი წყაროები არის ერთის მხრით კრებულებზე და მეორეს მხრით ეკკლესიებზე შეწერილი გადასახადი. ეს უკანასკნელი წყარო, ე. ი. ეკკლესიების გადასახადი დამოკიდებულია უმთავრესად სანთლის შემოსავლისაგან. რომელ ეკკლესიასაც მეტი შემოსავალი აქვს და მეტი სანთელი უსაღდება, იმას მეტი ხარჯიც აწერია. მაგრამ ეკკლესიებში სანთლის ყიდვის საქმეს ერთი გარემოება უშლის ხელს:

ეკკლესია ყიდულობს სანთელს ეპარქიის ქარხნის სანთლის საწყობებში გირვანქას მანეთად და ჰყიდის ორ მანეთად — თერთმეტ აბაზად, ე. ი. ერთი-ორად. ამ მოგებიდგან ეკკლესია იკმაყოფილებს თავისს საჭიროებას და ისტუმრებს გადასახადს, რომელიც შეწერილი აქვს სასულიერო სასწავლებლის შესანახად. მაგრამ სანთლის საწყობიდგან ყველას შეუძლიან იყიდოს სანთელი გირვანქა ექვს აბაზად (მარშანდლამდე მანეთათ, როგორც ეკკლესიებს), ამიტომ ხალხი (ვისაც არ ესმის სანთლის მოგების დანიშნულება), ძალიან ხშირად სანთელს საწყობებში ყიდულობს და მოაქვს ეკკლესიაში ასანთებად. ნამეტნავად ასე ხდება ქალაქებში, სადაც სანთლის საწყობები ყველას ეახლოვება. ამას გარდა სანთელს ყიდულობენ ვაჭრები და ჰყიდიან (თუმცა ეს სასტიკად აკრძალულია) და ამით ამცირებენ ეკკლესიის შემოსავალს, ისინი ჰგლეჯენ ეკკლესიას მოგებას: თითონ ყიდულობენ გირვანქას ექვს აბაზად და ჰყიდიან შვიდ-რვა-ცხრა აბაზის [illegible]. ეკკლესიებში კი ორ მანეთად იყიდება, როგორცა ვთქვით. აი ამ ეკკლესიების ზარალის მოსასპობად დეპუტატთა ყრილობამ აღძრა საქართველოს ექსარხოსის ყოვლად სამღვდელოს ფლაბიანეს წინაშე შუამდგომლობა, რომ მოისპოს სანთლის გაყიდვა კერძო კაცებზე, ან არა და იმ ფასში მიჰყიდოს იმათაც, როგორც ეკკლესიებში იყიდება. მაშინ ყველა თავს დაანებებს სანთლის ყიდვას სხვაგან, ეკკლესიებს გარდა. ამით ეკკლესიების შემოსავალი იმატებს და არც სანთლის ქარხანას უნდა დააკლდეს რამე, რადგან იმ სანთელს, რომელსაც კერძო კაცები ყიდულობენ, ეკკლესიები გაასაღებენ. განსხვავება ძალიან მცირე იქნება.

ეს შუამდგომლობა რომ დაკმაყოფილებულ იქმნას, საჭიროა გორის მაზრის სამღვდელოებას სხვა მაზრების სამღვდელოებამაც მისცეს მხარი, რადგანაც სანთლის საქმე მთელ ეპარქიას შეეხება, და ამნაირად ერთის მალ-ღონით დაგვირგვინდება საქმე. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ ღონისძიებით ეკკლესიებში სანთლის შემოსავალი ერთი-ორად და ერთი სამად იმატებს (ქალაქებში-კი მეტადაც) და ამ ნაირად ღარიბ სამღვდელოებას საშუალება მიეცემა რამდენიმედ დაიკმაყოფილოს თავისი მრავალგვარი საჭიროებანი.

ვიმედოვნებთ, რომ ამ საგანს უყურადღებოდ არ დასტოვებს შეგნებული ნაწილი ტფილისისა და თელავ-სიღნაღის ოლქების სამღვდელოებისა, მით უმეტეს, რომ ეს საქმე იმერეთის სამღვდელოებამ უკვე გადასწყვიტა იმ ნაირად, როგორც აქ არის ნათქვამი.

მღვდელი ქრისტეფორე ციცქიშვილი

# რუსეთი

— უკანასკნელ ვადად 1888 წელს გამოცემულის 25, 10 და 5 მანეთიან ქაღალდის ფულის გამოსაცვლელად ხაზინაში დანიშნულია ამა 1899 წლის დეკემბერი. ამის შემდეგ დასახელებულ ქაღლდის ფულს არც გამოსაცვლელად და არც რომელსამე სახელმწიფო დაწესებულებაში აღარ მიიღებენ.

— საერო განათლების სამინისტრომ განმარტა, რომ მოსწავლეთ შეუძლიანთ ჩაეწერნენ საქველ მოქმედო და იმ საზოგადოებათა წევრებად, რომელთაც სპორტი, ფიზიკური განვითარება და ხელოვნების შესწავლა აქვთ აზრად ისე კი, რომ საზოგადო კრებების დროს ხმის უფლება არ ექმნებათ. ამას გარდა უმაღლესს სასწავლებლის მოსწავლეთ ასეთ საზოგადოებაში წევრად ჩაწერის ნება რთვა უნდა აიღონ, ხოლო საშუალო და დაბალ სასწავლებლის მოსწავლეთ სასწავლებლის მთავრობას გარდა დედ-მამამ ან მზრუნველმა უნდა დართოს ნება. ამ საზოგადოების წევრებად არ შეუძლიანთ ჩაეწერნენ მხოლოდ იმ სასწავლებლის

---

კი იძვრიან და არა სულიერს არ ძალუძს გაიწაწანოს ამ ბწვერვალებზედ. დრო გამოშვებით ისე ძალუმად დაჰბერდა ხოლმე, თითქოს ქვეყანას შჩანთქმას უპირებსო. ულრიხმა რამდენჯერმე კიდევ დაუყვირა:

— გასპარ... გასპარ... გასპარ...

ამ მოლოდინში იყო ის და ყურს უგდებდა. მათს სიჩუმეს არაფერი არ არღვევდა. შიშის ჟრუანტელმა გაუარა თავით ფეხამდის, ის ისევ სასტუმროში შეხტა და მაგრად მიკეტა კარი. მთლად აცახცახებული, მკვდარივით გადიქცა სკამზედ, მთლად დარწმუნებული, რომ მეგობრის ხმა სწორედ მაშინ მოესმა, როცა ის უკანასკნელად-და ჰსუნთქავდა.

ამას ნამდვილად იყო დარწმუნებული. ყოველ ეჭვს გარეშე ეჩვენებოდა, რომ გასპარა ორი დღე და ღამე სადღაც ჩაუვალს უფკრულში გდებულა და იქ თეთრს თოვლს გაუთხრია მისთვის სამარე. აგერ ორი დღეა სულთ მობრძავია, ეხლა უკანასკნელად განუტევა სული და ამ სულის განტევებაში უკანასკნელად დაუძახა ამხანაგს. სული გამორდა თუ არა სხეულს, მაშინვე სასტუმროში შემოფრინდა და ძახილით გამოაღვიძა, რადგან მკვდრის სულებს მინიჭებული აქვთ ასეთი ძალა უზენაესისაგან. დიახ, სწორედ ამ სულმა დაუყვირა, გამოაღვიძა და უკანასკნელი სალამი უძღვნა... ან შეიძლება საყვედური, კრულვა, წყევლა გამოუგზავნა, რომ გულ-მოდგინედ არ მოსძებნა ამხანაგი.

ულრიხი ჰგრძნობდა, რომ ის ეხლა აქ არის, კედელს გარედ, აი ამ კარებს იქით, რომელიც ეხლა-ხანს მიჰხურა, ის ეხლა მუდამ აქ ღამურასავით იფარფატებს, და ჩემს ხატებს და ჩემს სარკმელს აღარ მოსცილდებაო. ტანჯვა-ვაებით აევსო გული ახალგაზდას და მზად იყო წივილ-კივილი შეექმნა... უნდოდა გაქცეულიყო, მაგრამ კარზედ გამოსვლა არ შეეძლო, არ შეეძლო... თავის დღეშიაც ვერ გაბედავდა კარში გამოსვლას, ამხანაგის აჩრდილი იქ იყო, რომელიც მთელი დღე-ღამ აქ იფარფატებს, ვიდრე იმის სხეულს არ იპოვნიან და სასაფლაოზედ არ დაჰკრძალავენ.

მზემ წვერი ამოჰყო. მისმა ბრწყინვალე სხივებმა, ულრიხის ჰქუას ნათელი მოჰფინა და ცოტა არ იყოს დაამშვიდა. სადილი მოიმზადა, ძაღლსაც აჭამა და დიდ ხნობამდის ასე ერთ ადგილას იჯდა, იმავ დროს კი მისი გული ათას ნაირად იკაწრებოდა, მკვდარი მეგობარი რომ აგონდებოდა.

მაგრამ რა დღე ღამედ შეიცვალა, შიშმა ხელ-ახლად აიტანა. წინ და უკან დაიწყო სიარული ბნელს სამზარეულოში, რომელსაც მკრთლად აშუქებდა სანთელი, და თან ყურს უგდებდა, გუშინდელი ხმა ხომ აღარ ისმისო. ყველასგან დატოვებულად, მიგდებულად, მივიწყებულად სთვლიდა ეხლა ის თავისს თავს. განა საზარელი არ არის? იგი ეხლა მარტოა ამ თვალაუწვდენელ თოვლ-ყინულთა შორის. თითქმის ორ ათას მეტრზედ მაღლა ხალხთა საცხოვრებლიდგან; ხალხთან ერთობას, მხიარულებას მოკლებულია, აქ მარტოდ მარტო ცის ქვეშ ობლად დარჩენილი. უცებ გაქცევა დააპირა, გაქცევა, გადავარდნა ფრიალოდგან, რომ ამ საშუალებით მაინც არის მიეხწია ლოგინამდის. მაგრამ კარის გაღებას ვერა ჰბედავდა, დარწმუნებული იყო, ამხანაგის აჩრდილი გზას გადუღობავდა, რომ თითონაც მარტოკა არ დარჩენილიყო ამ მაღლობაზედ.

შუაღამემდის ასე წინ და უკან სიარულით ისე დაიღალა, ისე დაიტანჯა შიშისა და მწუხარებისაგან, რომ სკამზედ გადაქცეულს მაშინვე ჩაეძინა; ლოგინში დაწოლა ფიქრადაც არ მოსვლია, რადგან ეშინოდა, გუშინდელი ამბავი არ დაემართოსო.

ამ დროს ანაზდეულად, ხელმეორედ მოესმა გუშინდელი ხმა, რომელიც ისეთი გამგმირავი და შემაძრწუნებელი იყო, რომ ულრიხმა ძალაუნებურად ორთავ ხელი გაიქნია და სკამიანად პირქვე დაეცა იატაკზედ.

ამ ხმაზე გამოეღვიძა ძაღლს, კარებს ეცა, რაზას ცხვირი აჰკრა, გააღო და ყეფა შეჰქნა.

გმნება დაბნეული ულრიხი, უცებ წამოხტა, სკამი ხელში მოიმარჯვა და მორთო ყვირილი: ნუ მოდიხარ! ნუ მოდიხარ! მოგკლავ!

მის ყვირილით წაქეზებულმა ძაღლმა უფრო უარესად გააბა ყეფა, სცდილობდა გაეფრთხო უხილავი მტერი, რომელიც ასე ძალიან აშინებდა იმისს ბატონს.

ცოტა ხნის შემდეგ ძაღლი ისევ დაბრუნდა. თავისს ადგილზედ გაწვა, თავი მაღლა აიღო და თვალების ბრიალი დაიწყო.

ულრიხიც გონს მოვიდა, ძალიან დასუსტებულად იგრძნო თავისი თავი და რომ მეხსიერება არ დაჰკარგვოდა, მივიდა შკაფთან, გადმოიღო არაყი და რამდენიმე ჭიქა ზედი ზედ დასცალა.

მეორე დღეს თითქმის არაფერი არ უჭამია, მარტო არაყსა სვამდა გაუთავებლივ. რამდენსამე დღეს სულ უგონო მთვრალი იყო, როცა ჰკუაზედ მოვიდოდა, ბურანიდგან გამოერკვეოდა, იმ წამს გასპარა გაახსენდებოდა და ხელ-ახლად სვამდა არაყს, სვამდა უზომოდ, სანამ უაზროდ არ შეიქნებოდა და იატაკზედ არ იწყებდა გორვას. ამგვარად ეგდო იატაკზედ გაშხლართული და მთლად დასუსტებული ძლივს-ღა ჰხვრინავდა. მაგრამ რა წამს ჰფხიზლდებოდა, ხელ-ახლავ ეწვეთებოდა ყურში საზარელი ხმა: „ულრიხ“, რომელიც ტყვიასავით უგმირავდა გულ-გვამს და ელდა ნაკრავსავით ფიცხლავ ფეხზედ დააყენებდა, სდგებოდა ფიცხლავ მთლად აკანკალებული და რომ არ დაცემულიყო, სკამებს ეჭიდებოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსწავლეთ, რომელნიც სამხედრო, საზღვაო და სასულიერო უწყებებს ემორჩილებიან.

— შინაგან საქმეთა მინისტრმა დაავალა გუბერნატორებს განუმარტონ ქალაქის გამგეობათ, რომ დროებით დათხოვნა იმ მასწავლებლებისა, რომელნიც საქალაქო სკოლებში მსახურებენ, დამოკიდებულია მხოლოდ სამოსწავლო უწყებისაგან.

— მიწად მოქმედების სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ ტაშკენტში დაარსებულ იქმნას სასოფლო-სამეურნეო საგიდროტეხნიკო სკოლა.

— ფინანსთა სამინისტრომ ნება დართო უბაჟოდ იქმნას შემოტანილი საუფლის-წულო უწყების ვენახთა სამკურნალო საშუალებანი.

— მოსკოვის ზოგიერთმა მექარხნეებმა სურვილი განაცხადეს, რომ მონაწილეობა მიიღონ იმ საერთაშორისო გამოფენაში, რომელიც გაიმართება ინგლისში, დედოფლის ვიქტორიის მფარველობის ქვეშ.

— სახელმწიფო საბჭომ შეიწყნარა ფინანსთა სამინისტროს წინადადება, რომ შეიცვალოს არსებული კანონი საზომ-საწყაოების შესახებ. ახალი კანონი შემოღებულ იქნება მომავალ წლის 1-ლ იანვრიდგან.

— მიწად-მოქმედების სამინისტრო ამ ჟამად შესდგომია ზომების შემუშავებას რუსეთში ბალახის თესვის გასაუმჯობესებლად და ამით სოფლის მეურნეობის შემოსავლის მოსამატებლად.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** ახლანდელი სამინისტრო მეორმოცე სამინისტროა საფრანგეთში მესამე რესპუბლიკის დაარსების დღიდგან, და იმანაც თავისს დაბადების დღესვე (14 ივნისს) კინაღამ სული დალია. როგორც დეპეშებიდგან ვიცით, სენატმა, 162 ხმის უმეტესობით 25-ის წინააღმდეგ, მოიწონა სამინისტროს დეკლარაცია, მაგრამ პალატაში მხოლოდ 26 ხმის უმეტესობით გაიმარჯვა ახალმა სამინისტრომ. ვალდეკ-რუსოს კაბინეტის დამხობა მით უფრო სასურველი იყო მის მოწინააღმდეგეთათვის, რომ სამინისტრო გრიზისს, იქნება, რესპუბლიკის პრეზიდენტის სამსახურიდგან გადადგომაც თან მოჰყოლოდა, და ამის მეტი როდი უნდოდათ-რა ეხლანდელ წეს-წყობილების მტრებს და მელინს, რომელიც ერთობ გულნატკენია ლუბეზე, რადგან ამ უკანასკნელს მაინცა უპირატესობა კონგრესმა და რესპუბლიკის მოთავედ აირჩია, ხოლო ის-კი (მელინი), რომელსაც ყველაზედ უფრო სწყუროდა სახელმწიფოს მეთაურობა, გაამავა.

უმეტესობას, რომელმაც გაამარჯვებინა ახალ კაბინეტს 14 ივნისს, შეადგენდნენ: 77 პროგრესისტი, რომელთა შორის იყვნენ პუანკარე, რუვიე და დელომბრი, 158 რადიკალი და რადიკალ-სოციალისტი, 26 სოციალისტი და კონრადე დე ვიტი, მემარჯვენეთა წარმომადგენელი. მთავრობის წინააღმდეგ მისცეს ხმა: 39 ანტისემიტმა და ნაციონალისტმა, 107 პროგრესისტმა, რომელთა შორის იყვნენ მელინი, ედმონდ ბლანი და სხ., 78 შემოერთებული და მემარჯვენე, 12 რადიკალი და ერთი რადიკალ-სოციალისტი. ხმა არ მიუცია 61 დეპუტატს, რომელთა შორის 29 პროგრესისტია (ბარტუ, შარლ დიუპუი, კრანცი, ლებრე, რიბო და სხ.), 13 რადიკალი და 19 სოციალისტი.

რადიკალური გაზეთები და „Figaro“ დიდად აქებენ ბრისონს, რომლის სიტყვას ძლიერი შთაბეჭდილება მოუხდენია პალატაზე და ამის გამო გაუმარჯვნია სამინისტროს. ეხლავე მოგახსენებთო, — უთქვამს ბრისონს პალატაში, — რატომ მიმაჩნია შეუძლებლად ხმის მიუცემლობავო. 28 წლის წინად მე სხვებზედ ადრე აღვმარი ლაპარაკი საერთო ამნისტიის სასარგებლოდ, ე. ი. რომ დაგვევიწყნა ერთმანეთ შორის განხეთქილება და პირადი ანგარიშებიო. მაშინ საქმე შეეხებოდა რესპუბლიკის დაარსებას, ეხლა-კი რესპუბლიკის დაცვას შეეხებაო. განა შეიძლება ეს საქმე იმათთან ერთად გავაკეთდეს (მემარჯვენეებისაკენ მიუთითებია), რომელნიც ამ 30 წლის განმავლობაში მუდამ იმას სცდილობდნენ, რომ ძირი გამოეუთხარათ რესპუბლიკასო?

ბრისონის სიტყვების წყალობითო, — ამბობს კლემანსო, — ერთმანეთის მხარი მისცეს ძველ რესპუბლიკის ყველა წევრებმაო. თუმცა ავად იყო, მაგრამ ბრისონმა მაინც არ დაიზარა პალატაში მისვლა და ამგვარად ბევრად უფრო კარგად მოიქცა, ვიდრე ბურჟუა, რომელიც პალატის კრების წინა დღეს გაავაში გაიქცაო. რადიკალური გაზეთები და მათთან ერთად „Figaro“ და „Matin“-ი შეუბრალებლად ჰკიცხავენ მელინს. გაზეთი „Siècle“, უჩვენებს რა იმ გარემოებაზე, რომ სენატში დიდძალი ხმის უმრავლესობით გაიმარჯვა კაბინეტმა, იმ აზრის არის, რომ პალატაში რომ დამარცხებულიყო უთუოდ დაითხოვდა პარლამენტსაო.

—

**ავსტრია.** ამ რამდენისამე დღის წინად ვენაში დაატუსაღეს და შემდეგ ავსტრიიდგან განდევნეს ერთი გერმანული პასტორი ევერლინგი, რომელიც, როგორც აღმოჩნდა, უქადაგებდა თურმე ავსტრიელ ნემეცებს, რომ პროტესტანტობა მიიღეთ და გერმანიის სახელმწიფოს შეუერთდითო. იმ ქაღალდებიდგან, რომელნიც ევერლინგს უპოვნეს, აღმოჩენილა, რომ გერმანიაში საზოგადოება ყოფილა შემდგარი, რომელსაც საგნად ის გაუხდია, რომ ჰაბსბურგის მონარქიას ჩამოაცალოს ნემცები და ბერლინისაკენ გადაიბიროს, რომელიც, ხსენებულ საზოგადოების პროგრამით, ყველა ნემეცთა პოლიტიკურ და რელიგიურ სატახტო ქალაქად უნდა გახდეს. იმავე ქაღალდებში აღმოჩენილა აგრეთვე, რომ გერმანიაში საზოგადოება ყოფილა, რომელსაც საგნად გაუხდია ავსტრიის დაქსაქსვა გამოიწვიოს როგორმე. ამნაირად დამტკიცდა, რომ გერმანია, სულ თუ არა, რამდენიმე იქ დაარსებული საზოგადოება მაინც, ავსტრიის დამხობას სცდილობს თავისს სასარგებლოდ. ამ გვარ მცნების წარმომადგენელი პასტორი ევერლინგი დიდი ხასიათის ღირსი იყო, მაგრამ ავსტრიის მთავრობას ისე ეშინიან გერმანიისა, რომ პასტორს ავსტრიიდგან განდევნის მეტი ვერა გაუბედა-რა.

—

**კრიტი.** როგორც იუწყებიან, გიორგი ბატონიშვილს ხუთ პროვინციაში პრეფექტები დაუნიშნავს. იმათ შორის ოთხი ქრისტიანი ყოფილა და ერთიც მაჰმადიანი. ამ რიგად ბატონიშვილს სამხედრო გამგეობის ნაცვლად სამოქალაქო შემოუღია კუნძულზე და ეს მცირე საქმე არ არის. ამ ორი კვირის წინ იტალიის ქვეითა ჯარის ერთი ბატალიონი წასულა კრიტიდგან და იქ დარჩენილა დიდი სახელმწიფოების 4,500 ჯარის-კაცი; ამათ შორის 2000 რუსია, 1000 ინგლისელი, 900 ფრანგი და 600 იტალიელი. ჰფიქრობენ, რომ ივლისის დამლევს რუსეთი შეამცირებს თავისის ჯარის რიცხვს რეტიმნოშიო.

—

**ჩინეთი.** გაზეთების სიტყვით, საფრანგეთის საელჩოს დრაგომანს, ფლიმს, ერთი ჩინელი თავს დასცემია და კარგადაც უცემია. ფლიში ისე ყოფილა მიბეგვილი, რომ ავად გამხდარა. საფრანგეთის ელჩს მოუთხოვნია ცუნგლი იამენისათვის — ბოდიში მოიხადეო, მაგრამ ჯერ-ჯერობით არავინ იცის, შეასრულა ამ უკანასკნელმა ელჩის მოთხოვნილება, თუ არა.

—

**გერმანია.** გერმანიის იმპერატორმა წარუდგინა პარლამენტს განსახილველად ახალი კანონ-პროექტი, რომელსაც უმთავრესად საგნად აქვს მუშათა შეერთების (კოალიციის) უფლების შეზღუდვა-შევიწროება. ეს კანონ-პროექტი სასტიკად აღჭურვილია მუშების მეთაურთა წინააღმდეგ, რომელნიც სიტყვით თუ საქმით ხელს უწყობენ მუშებს კაპიტალისტებთან ბრძოლაში. რადგან ამ კანონ-პროექტის ერთი მუხლი მუშათა მეთაურებს სასჯელად ოთხის წლის კატორგას უნიშნავს, ამის გამო მას „კატორგის“ კანონ-პროექტი დაარქვეს. ეს კანონ პროექტი, რასაკვირველია, იმ გარემოებამ წარმოშვა, რომ გერმანიაში, რაც დრო გადის, მუშათა მოძრაობა სულ უფრო სწრაფად იზრდება და ამასთან ერთად სოციალ-დემოკრატიის დასიც საოცარის სისწრაფით ძლიერდება და ლამის მთელს სახელმწიფოში გაბატონდეს. თუმცა სოციალ-დემოკრატიის დასის გაძლიერება-გაბატონება შიშის ზარსა ჰგვრის დანარჩენ დასებს, რომლებიც ყოველს ღონეს ჰხმარობენ სოციალ-დემოკრატთა დასაუძლურებლად, ამის მიუხედავად არც ერთმა დასმა პარლამენტში, კონსერვატორთა გარდა, თანაგრძნობა არ გამოუცხადა აღნიშნულ კანონ-პროექტს და, პირ-იქით, კიდეც აღიჭურვნენ მის წინააღმდეგ, ასე რომ სრულიად უეჭველია ეს კანონ-პროექტი დარჩება „ხმად მღაღადებლისად“. კანონ პროექტის სასარგებლოდ ილაპარაკეს მხოლოდ იმპერიის კანცლერმა ჰოჰენლოემ და სტატს-სეკრეტარმა პოზადოვსკიმ, რომელთაგან პირველმა ძალიან გაიკვირვა, რომ „კატორგის“ კანონ-პროექტის წინააღმდეგნი არიან არა მარტო სოციალ-დემოკრატები, არამედ ისეთი დასებიც, რომელთაც საერთო არაფერი აქვთ მუშათა მოძრაობასთანაო; მეორე ორატორმა-კი, სხვათა შორის, სთქვა, რომ სოციალ-დემოკრატია სახელმწიფოა სახელმწიფოში და იმედია, ჩვენში მოიძებნებიან ძლიერი და მხნე მოქალაქენი სოციალ-დემოკრატებთან საბრძოლველადაო. ჰოჰენლოეს და პოზადოვსკის შემდეგ მუშათა დეპუტატმა ბებელმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელმაც გასტანა ორ საათ-ნახევრამდე.

იმის შემდეგაო, დაიწყო ბებელმა, რაც აქ ორმა მთავრობის წარმომადგენელმა ილაპარაკა, ცხადია, რომ კანონი ჩვენის დასის წინააღმდეგ არის მიმართული. მაგრამ თქვენს აზრს ვერ მიაღწევთ. თუ ეს წინადადება კანონად გარდაიქცა, ჩვენი დასი ამით მხოლოდ სულ უფრო და უფრო გაიზრდება. ისეთი ერთსულოვნური აღშფოთება და გულის-წყრომა, როგორიც ამ კანონმა გამოიწვია, მე ჯერ არ მინახავს. კარგად იცოდეს ბ-ნმა იმპერიის კანცლერმა, რომ გულის-წყრომით აღივსნენ ყველა მუშები, ისინიც-კი, რომელნიც ჩვენს დასს ჯერ კიდევ არ ეკუთვნიან (გაისმის ყვირილი: „სრული სიმართლეა!“). ჩვენ, მოწყალენო ხელმწიფენო, კარგად ვიცით, სადაც არის ამ წინადადების სათავე. იგი ბეტელის სამრეწველოშია. შეერთების უფლება საჭიროებს არა შეზღუდვა-შევიწროებას, არამედ, პირ-იქით, მეტ გაფართოება-განვითარებას. რეისხტაგმა უკვე რამ-

---

და ძაღლს იწვევდა საშველად. ძაღლსაც ბატონსავით თავ-გზა ერეოდა, ეცემოდა კარებს, ჰფხაჰნიდა, გალებასა სცდილობდა; ულრიხი-კი ამ დროს ისევ არაყს ეწაფებოდა და გაგიჟებით სვამდა, ვიდრე გონება არ დაეხშოდა.

სამს კვირას გაათავა მთელ ზამთრისთვის მომზადებული არაყი. მაგრამ გამუდმებულმა ლოთობამ მხოლოდ დროებით დაუჩლუნგა გონება და ამხანაგი დაავიწყა, ჩქარა საზმელიც შემოაკლდა და ხელ-ახლად წარმოუდგა თვალ-წინ მომაკვდავი ამხანაგი. ამ ერთის თვის გამუდმებულმა ლოთობამ და მარტოობამ გაგიჟებამდის მიიყვანა, გალიაში დამწყვდეულ მხეცსავით ხან აქეთ ეხეთქებოდა და ხან იქით საბრალო, კარების ჭუჭრუტანებიდგან ყურს უგდებდა და მუქარას უთვლიდა ხმა-მაღლა.

დაღალულობას თავისი მიჰქონდა და ისიც მისდებდა თავს, საცა მოჰხვდებოდა, მაგრამ ყურში ისევ ის გაუთავებელი ხმა ეყურებოდა და შეშინებული ჰხტებოდა.

ბოლოს ერთ ღამეს მოთმინებიდგან გამოსული და სასო-წარკვეთილი ეცა კარებს, ყურამდის გამოაღო იგი, რომ დაენახა მტარვალი და ხმა ჩაეკმედინებინა.

მაგრამ უცებ ცივმა ქარმა დიჰკრა პირზედ, კანკალი დააწყებინა. საჩქაროდ ჩაკეტა კარი, ურდული გაუყარა და ვერ კი შეამჩნია, რომ ძაღლი გარედ მოჰყვა. ცეცხლს შეუმატა და გასათბობად ჩამოჯდა: კარს ვიღაც აფხაჰუნებდა, შემოსვლას ეპირებოდა.

— დაიკარგე აქედგან! ძლივს შესძახა კანკალით ულრიხმა.

ამ აუტანელმა შიშმა უკანასკნელად დაუბნია თავ-გზა. ის დაუსრულებლივ ჰყვიროდა: „დაიკარგე აქედგან! დაიკარგე!“ და ადგილს ეძებდა თავის შესაფარებლად. გარედგან კი ვიღაცის კვნესა ისმოდა, კედელს ვიღაც ეხახუნებოდა, შემოსვლას ეპირებოდა.

ის ეცა უცებ ჰურჰლით სავსე შკაფს, კარებთან მიათრია და ზედ მიადგა, მერე მიჰვარდა სკამებს, მაგიდას და რაც კი რამ იყო სახლში, სულ ფანჯარას მიაყარა და ამოჩულა.

მაგრამ ამ დროს ხელ-ახლა მოისმა გარედამ გულ-საკლავი, ხანგძლივი საზარელი ხმა, რომელზედ იმ გვარადვე უპასუხა ულრიხმა.

ამ გვარად მიდიოდა დრო. ერთი გარედგან უვლიდა სახლს, ჰფხაჰნიდა კედლებს ისეთის ძალით, თითქოს კედლებს დანგრევას უპირებსო; მეორე კი შიგნიდგან თვალს ადევნებდა ყველა მის მოძრაობას, ყურს უგდებდა გაფაციცებით და ყოველ მის გულ-საკლავ ღმუილს სამაგიეროთივე აძლევდა პასუხს.

ბოლოს, ერთს საღამოს, კედელს გარეთ ყველაფერი დაწყნარდა, ულრიხს აღარავისი ხმა არ ეყურებოდა, უცებ დაწვა და მთლად დაქანცულს ტკბილად ჩაეძინა.

როცა გამოეღვიძა, ყველაფერი დავიწყებოდა; აღარც ერთი მოგონება-მოჩვენება გულს აღარ უკაწრავდა, თითქოს თავის დღეში აქ არაფერი ყოფილაო.

ის მხოლოდ შიმშილსა ჰგრძნობდა და პურის ჭამას შეუდგა.

ზამთარი ჩანჩალით მიდიოდა, გამისკენ გასავალი გაიწმინდა და გაუზერის ოჯახიც აიშალა დაბლობიდამ სასტუმროში საავარაკოდ დასასახლებლად.

ქალები ჩვეულებისამებრ შესხდნენ ჯორზედ და სასტუმრომდის სულ ორის დარაჯის შესახებ ლაპარაკობდნენ, რომელნიც აგერ ხუთი თვეა აღარ ენახათ. უკვირდათ, აქამდის, როცა გზა გაიწმინდა, რატომ ერთ-ერთი არ ჩამოვიდა ლოეში და არ შეგვატყობინა, როგორ გაატარეს ზამთარიო.

აგერ სასტუმროც გამოჩნდა, მთლად თოვლით გადალესილი. კარფანჯარა თუმცა დაკეტილია, მაგრამ ბუხრიდგან ბოლი ამოდის და ეს ამშვიდებს. სასტუმროს კარების წინ რაღაც არწივებისგან გამოხრული ძვლები დახვდათ. ყველანი მიუხვდნენ და სინჯვა დაუწყეს.

— ეს უთუოდ საბრალო ძაღლია.

— სთქვა გაუზერის ცოლმა და დაუყვირა:

— ეი, გასპარ!

შიგნიდგან პასუხად რაღამაც საზარლად დაიხრიალა, თითქოს შეშინებული მხეციაო.

კიდევ დაიყვირეს.

— ეი გასპარ! ისევ ყრუ ყვირილი მოისმა სახლიდგან.

მამა-შვილებმა სცადეს კარების გაღება, მაგრამ ტყუილად. კარები არ იღებოდა. ლია გოურიდგან კეტი გამოიტანეს და იმითი დაუწყეს კარებს მტვრევა. კარები ჩქარა ლუკმა ლუკმად იქცა, სახლიდგან საზარელი ხაა მოისმა, შკაფს იქით კაცი გამოჩნდა, რომელსაც საზარლად დაეჭყიტა თვალები, გძელი თმა მხრებზედ სცემდა და გრძელი წვერი კიდევ გულამდის ჩამოსწვდოდა.

ძონძები ძლივს უფარავდა ტანს. ვერავინ ვერ იცნო ის, გარდა ლუიზასი, რომელმაც შეხედვისთანავე შეჰყვირა: ულრიხ! საბრალო ულრიხ! რა მოგსვლია!

ყველა დასთანხმდა, რომ ის ულრიხი იყო, თუმცა თმა სულ გასთეთრებოდა და ხმას არ იღებდა. ლოეში ჩაიყვანეს. ექიმებმა ჰკუაზედ შეშლილადა სცნეს.

ვერავინ ვერ გაიგო, რა მოუვიდა იმის ამხანაგს.

ამავე ზაფხულს ახალგაზდა ლუიზა საშინლად ავად გახდა და კინაღამ მოკვდა რაღაც ავადმყოფობისაგან, რომელსაც შეცდომით გაციებას აწერდნენ.

ჩ. ედილი

დენჯერმე სცადა ამ უფლების შევიწროება, მაგრამ ამაოდ. ამ ჟამად არსებული 153 მუხლი კანონებისა უკვე განსაკუთრებული კანონია მუშათა შესახებ. რაც დაუსჯელად შეუძლიანთ ჩაიდინონ მუშათა დამქირავებელთ, იმისათვის სასტიკად ისჯებიან მუშები ასობით და ათასობით. სტატს-სეკრეტარისათვისაც-კი ურიგო არ იქნებოდა სცოდნოდა, თუ დამქირავებელთა სინდიკატები (კავშირები) როგორის მექრთამით და მალადატანებით ჰმოქმედებენ მუშათა წინააღმდეგ. იმათ ასეთის საქციელისათვის ბეწვსაც არავინ აუფრენს თავზედ, მუშებს-კი სჯიან მხოლოდ იმ ცდისათვისაც კი, რომ თავიანთი მდგომარეობა გააუმჯობესონ, თუმცა ისინი თავისს შრომასთან ერთად ჰყიდიან თავისს პიროვნებასაც. ფრიდრიხ დიდისა ამბობენ, ვითომ მას სიკვდილის წინ ეთქვას: „დამღალა მონებზედ ბატონობამაო". ამ კაპიტანებს-კი, რომელნიც მთავრობის ხამებზედ სხედან, სწორედ მონებზედ ბატონობა სურთ! (ტაშის ცემაა მარცხენა მხარეზედ)... სტატს-სეკრეტარის განცხადებამ, თითქო კანონ-პროექტს საგნად ჰქონდეს შეერთების უფლების დაცვა, ხმამაღალი სიცილი გამოიწვია მუშათა შორისა. შემდეგ ორატორმა წინააღმდეგობა გამოაცხადა იმ ბრალდებისა, ვითომ მუშათა პარტია, სოციალ-დემოკრატია, ძალას ატანდეს მუშებს გაფიცვის გასამართავად და ჩასატარებლად. მან მოიხსენია სასამართლოს განაჩენები. დრეზდენის სასამართლოს განაჩენის მოხსენების დროს მარცხენა მხარეს გაისმა ყვირილი „ფუი"! პრეზიდენტმა ბალესტრემმა შენიშნა, სიტყვა „ფუი" პარლამენტს არ შეჰფერისო. პრეზიდენტს ამ სიტყვებზედ ხმა მაღალი სიცილი დააყარეს.

ბებელმა თავისი სიტყვა ასე დაასრულა: თუ ეს პროექტი კანონად გარდაიქცა, გერმანია საუკუნო სამარცხვინო ჩირქით შეიმწიკვლებაო. (აღტაცებულმა ტაშის ცემამ იგრიალა მარცხენა მხრიდგან).

— ამ დღეებში გათავდა ბერლინის კალატოზთა გაფიცვა, რომელმაც გასტანა რამდენსამე კვირას. კალატოზთა კავშირი სამის წლით შეეკრა პატრონთა კავშირს. ამ ხელშეკრულების უმთავრეს მუხლის ძალით მუშებს ქირა უნდა მოემატოთ. (60 პფენნიგიდგან 70 პფენნიგამდე საათში).

იმ კრებაზედ, რომელზედაც ეს ხელშეკრულება მოწონებულ იქმნა, დიდი აურ-ზაური იყო. მოლაპარაკეთა უმრავლესობა წინააღმდეგობას აცხადებდა პატრონებთან მორიგებისას და თხოულობდნენ გაფიცვის განგრძობას.

## დამაკვირდი

უნაკლულო არავინაა, მაგრამ ვინც თავის ნაკლულევანებას თითონვე აღიარებს, ის უფრო ნაკლებ უნაკლულოა.

გ. დ—შვილი

* * *

გისტვინევდით *) და არა ჰროკვევდით, გიგალობდით და არა ჰკალობდით!

წმ. ეფთვიმე მთაწმინდელი

* * *

*) სტვრი არს ქურქელი საგალობელი, რომელი ძალითა სულისა კაცისათა აღმოუტევებს კმასა სტვინვისასა. (იქვე).

საწუთრო ერთსა მატებს, ერთსა აკლებს, ყოვლით ზედა არ ავის.

როსტომ გმირი

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ამას წინად დაიბეჭდა ნემეცურს ენაზედ ახალი წიგნი ტიბეტის შესახებ შემდეგის სათაურით: „ეკლესიანს გზაზედ. მგზავრობა და თავ-გადასავალი ჰენრი სავეჯ ლანდორისა ტიბეტში". ეს წიგნი ნემეცურიდგან მრავალ ევროპიულ ენაზედ ითარგმნება. წიგნის ავტორის ლანდორის შესახებ უკვე იყო დაწერილი ჩვენს გაზეთში. მკითხველებს ეხსომებათ უთუოდ, რა ტანჯვა და წვალება გამოიარა ლანდორმა ტიბეტში მოგზაურობის დროს. სიკვდილს თითქმის სასწაულით გადარჩა. ტიბეტში ლანდორი 1897 წელს იყო. გადავიდა ინდოეთიდგან გიმალაის მთებით. თან გამბედავმა მოგზაურმა მხოლოდ რამდენიმე კაცი წაიყვანა, მაგრამ მალე ორის გარდა ისინიც დაშორდნენ და უკან დაბრუნდნენ. ამისდა მიუხედავად ლანდორი განსაცდელს არ შეუშინდა და შუაგულ ტიბეტისაკენ გაემართა. განსაცდელიც-კი დიდი იყო. ტიბელები მეტად კარ-ჩაკეტილი ხალხია. მთელი საუკუნეა თავიანთ ქვეყანაში კაცს აღარ უშვებენ. განსაკუთრებულ ძალიან ევროპიელნი ეჯავრებათ. ამას გარდა მოგზაურს დიდი შიში მოელის მრავალ ავაზაკთაგან. ლანდორი თუმცა ტანისამოსს გამოცვლილი მოგზაურებდა, მაგრამ დაბა ტუკხემში მაინც იცნეს, რომ ევროპიელი იყო და დაიპატიმრეს. რამდენისამე ხნის განმავლობაში მოგზაური საშინლად აწამეს და სტანჯეს; ბოლოს მაინც, როგორც ზემოთაც ვთქვით, მხოლოდ შემთხვევის წყალობით გადარჩა განსაცდელს.

ახლად გამოცემული ლანდორის წიგნი მეტად საინტერესოა: აწერილია ცხოვრება, ზნე-ხასიათი, ჩვეულებანი ტიბელებისა და საზოგადოდ მრავალი საყურადღებო ცნობაა წიგნში მოთავსებული აქ ევროპიელთათვის უცნობ ხალხის შესახებ. ლანდორის სიტყვით, ტიბელები მშიშარა, გაუტანელი, ვერაგი, ცრუმორწმუნე და გაუნათლებელი ხალხია. ასე გასინჯეთ, კაცის მჭამლობაც-კი ყოფილა იქ გავრცელებული. აი, ლანდორის აღწერით, როგორა სცოდნიათ ტიბელებს კაცის დასაფლავება: „მიცვალებულის გვამი მაღალ გორაკზედ აიტანეს, როდესაც გვამი მიწაზედ დასდეს, ლამამ (სასულიერო კაცია) ლოცვები წარმოსთქვა. შემდეგ ბრბომ გვამს შვიდჯერ გარშემო შემოუარა და შორი-ახლოს დადგა. ამას იმიტომ შვრებიან, რომ შეძლება მისცენ გარეულ ფრინველებს და ძაღლებს მიცვალებულის გვამს შეექცნენ. ტიბელების აზრით თუ გვამს ფრინველები მისცვივდნენ და ჭამა დაუწყეს, ეს იმასა ჰნიშნავს, რომ მიცვალებულისთვის საიქიოს სამოთხის კარები ღია იქმნება; წინააღმდეგ შემთხვევაში,—თუ ძაღლებმა გაინაწილეს,—მიცვალებული ცოდვიანი კაცი ყოფილა და ჯოჯოხეთს არ ასცდება. ბრბო გაფაციცებით უყურებდა, ძაღლები როგორც შეექცეოდნენ მიცვალებულის გვამს. მაგრამ გათავება მაინც არ დააცალეს: ლამას წინამძღოლობით ხალხი ხელ-ახლა მივიდა გვამთან და შვიდჯერ კიდევ შემოუარა გარშემო. შემდეგ რგვლად შემოუსხდნენ და თითონ შეუდგნენ იმის ჭამას, რაც ძაღლებსა და ფრინველებს გადარჩა. ყველა პატარ-პატარა ნაჭერს ითლიდა და საოცარის ძალით შეექცეოდა. ეს წუხილი იმ დრომდე გაგრძელდა, ვიდრე ცარიელი ძვლები-ღა დარჩებოდა".

ამას გარდა ლანდორის წიგნში სხვა მრავალი საყურადღებო ცნობაც არის მოთავსებული ტიბეტის შესახებ.

* * *

ბევრსა აქვს ჩვეულებად ფრჩხილების კვნეტა. ეს ჩვეულება მეტად მავნე და საზარალო ყოფილა თურმე. აი ერთი გაზეთი რას მოგვითხრობს ამის შესახებ. ერთს ახალგაზრდა, ასე 25 წლის კაცს, საშინელი მუცლის ტკივილი დასჩემდა. 3—4 წლის განმავლობაში განუწყვეტლივ სტკიოდა მუცელი. წინად ყურადღებას არ აქცევდა, მაგრამ შემდეგ საქმე იქამდის მივიდა, რომ სიცოცხლე გაუმწარდა. ბოლოს ჭამითაც ვეღაფერსა სჭამდა, სტომაქი აღარაფერს იტანდა, მაშინვე პირს ასაქმებინებდა ხოლმე. ავადმყოფი საშინლად გახდა და გაყვითლდა. ექიმმა მერლიემ, რომელიც ავადმყოფს სწამლობდა, უცნაურ ავადმყოფობის მიზეზი ვერ გაიგო. ერთხელ ექიმმა ყურადღება მიაქცია, რომ ავადმყოფს თითები პირში ედო და ფრჩხილებს იკვნეტდა. თურმე ახალგაზრდა კაცს ეს ჩვეულება დიდი ხანია დასჩემებია. ექიმს, რასაკვირველია, ვერ წარმოედგინა, რომ ის კაცი ფრჩხილების კვნეტისაგან იყო ავად, მაგრამ მაინც გადასაჩვევად, თითები მაგრა შეუკრავს ტყავით. ამ დღიდგან ავადმყოფი გამოკეთების გზას დასდგომია და ერთის თვის შემდეგ სრულიად მორჩენილა. თურმე ავადმყოფი მოკვნეტილ ფრჩხილებსა ჰყლაპავდა და მუცელი იმისაგანა სტკიოდა.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

22 ივნისი

**პეტერბურგი**, უმაღლესი რესკრიპტი ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორისადმი:

18 მაისს თქვენ მიერ სეიმის დახურვის დროს, წოდებათა წარმომადგენლებისაგან ჩემამდე ამ ამბავმა მოაღწია იმათ აღელვებულ მდგომარეობის შესახებ, რომელიც გამოუწვევია ფინლიანდიის დიდ სამთავროში სამხედრო ბეგრის შესახებ ცვლილების შემოღებას და მიმდინარე წლის 3 თებერვლის მანიფესტს. ჩემდა სამწუხაროდ, ლანდმარშალისა და ტალმანების სიტყვებიდგან მე ვხედავ, რომ მოხელეთ ვერ შეუგნიათ მოსაზრებანი სახელმწიფოს საერთო სარგებლობის შესახებ, რამაც გამოიწვია ეს ღონისძიებანი, და თავის თავისთვის ნება მიუციათ ამ საგნის შესახებ შეუფერებელი სიტყვები ელაპარაკნათ. მე თქვენთვის მომინდვია საყოველთაოდ გამოაცხადოთ, რომ ის მსჯელობა სწორი არ არის და არ ეთანხმება ამ საუკუნის დამდეგიდგან დადგენილს საქმის ვითარებას, რომლითაც ფინლიანდია რუსეთის სახელმწიფოსაგან განუშორებელ მისსავე ნაწილად ითვლება. აგრეთვე მე მსურს იცნოს ფინლიანდიის ერმა, რომ ტახტზედ ასვლის დროს მივიღე-რა წმინდა მოვალეობა ვიზრუნო ყველა ხალხის კეთილდღეობისათვის, რომელნიც რუსეთის სახელმწიფოს ექვემდებარებიან, საკეთილოდ მივიჩნიე დამენარჩუნებინა ფინლიანდიაში განსაკუთრებული წესი შინაგან კანონმდებლობისა, რომელიც ნაბოძები ჰქონდა მას ჩემის გვირგვინოსან წინაპრებისაგან. იმავე დროს მე მივიღე ჩემს თავზე, როგორც ძველი დროის ნაანდერძევი, შრომა გამესაზღვრა, თუ რა დამოკიდებულება უნდა ჰქონოდა დიდ სამთავროს რუსეთის იმპერიასთან. ამის გამო ჩემ მიერ დამტკიცებულ იქმნა მიმდინარე წლის 3 თებერვალს დებულებანი, რომელნიც უჩვენებს წეს-რიგს მთლად სახელმწიფოსათვის კანონების გამოცემის შესახებ. მე იმედი მაქვს, რომ უქვეშევრდომილესი მონდობა ფინლიანდიის ერისა, რაშიაც ეჭვი არა მაქვს, საქმით დამტკიცდება და გაგიადვილებს თქვენ ჩემის წინასწარ განზრახულების შესრულებას.

**ჯიბუტი**. ლეონტიევს დიდი ბედი ეწვია. ის საქვეყნოდ გამოცხადებულ იქმნა ეკვატორის პროვინციების გუბერნატორად.

**მადრიდი**. ხალხის რამდენიმე გროვა ბარცელონაში დაღამებისას ქვებს ესროდა დუქნებს. ორ მღვდელს შეურაცხება მიაყენეს. ჟანდარმებმა წესიერება აღადგინეს. ალიკანტეში დაბალი ხალხი ქვებს ესროდა დუქნებს, რომლებიც ღია იყო და გადასწვა კანტორები, სადაც ქალაქის ბაჟს ჰკრეფდნენ. ვალენსიაში ცხენოსანმა ჯარმა გაჰფანტა ბრბო. ღამით წესიერება იყო. სარაგოსში ხალხის მღელვარება საეჭვოდ ხდის წესიერების დაურღვევლობას.

**პარიჟი**. საბიუჯეტო კომისიამ თავისს ბიუროში წინანდელივე წევრები აირჩია და შემდეგ სხვა-და სხვა საქმის მომხსენებლები დანიშნა. ბუდეპო დანიშნულია საქმის მომხსენებლად, პელეტანის ნაცვლად, რომელიც სამხედრო ბიუჯეტის მომხსენებლად აირჩიეს.

23 ივნისი

**პეტერბურგი**. კვირისთვის, 27 ივნისისათვის დანიშნულია მონათვლა ახლად დაბადებულის დიდის მთავრინასი. ნათლობა მოხდება პეტერგოფის სასახლეში.

**პარიჟი**. სენატმა შეიწყნარა პროექტი ოთხის გარდასახადის შესახებ.

**მოსკოვი**. ხელოსანთა საზოგადოებამ დაადგინა დიდის მთავრინას მარიამ ნიკოლოოზის ასულის დაბადების სახსოვრად, აღარ გამოართვას 25 ათასი მანეთი ძველი გარდასახადი ღარიბ ხელოსანთ.

**მადრიდი**. მთელს ესპანიაში მშვიდობიანობაა. მთავრობამ გარდასწყვიტა სასტიკად მოიქცეს.

**პარიჟი**. პალატა. ვალდეკ-რუსსომ შეიტანა პროექტი 1900 წლის ხარჯთ-აღრიცხვისა; შემდეგ წაიკითხა დეკრეტი საპარლამენტო სესსიის დასრულების შესახებ.

## წერილი რედაქციის მიმართ

—

უმორჩილესად ვთხოვთ წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას, ქართულ ჟურნალ-გაზეთების რედაქტორთ და ყველა გულ შემატკივართ არ დაიშურონ თავიანთი წვლილი და შემწეობა მისცენ ს. ბაღდადში ახლად დაარსებულს სამკითხველოს.

ადრესი: Черезъ Кутаисское уѣздное управленіе Багдадской безплатной библіотекѣ-читальнѣ.

მმართველი სამკითხველოსი მასწავლებელი ვარლამ ბურჯანაძე

—

უგულითადესს მადლობას ვუცხადებ „წერა-კითხვის საზოგადოებას", რომელმაც შემოსწირა თელავის საზოგადო წიგნთ-საცავს ოც-და-ათი ცალი წიგნი, ღირებული 11 მან. და 45 კაპ.

თელავის საზოგადო წიგნთ-საცავის გამგე გ. ს. აჯიმამუდოვი

გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობაზედ დაარსებულ წიგნთ-საცავის სასარგებლოდ 30 მაისს ქუთაისში გამართულ სეირნობის ანგარიში და სია ნივთების შემომწირველთა.

სასეირნო ბილეთების გასყიდვით 330 მანეთი, ნივთების გაყიდვით 665 მან., ბუფეტიდგან 144 მ., ყვავილების ფასი 15 მ., ფულად შემოსწირეს: ვ. ა. ქიქოძისამ 20, მ. ა. ქიქოძემ 10 მ., ლ. თოლოლუამ 5 მ., თავ. ვახტ. გურიელმა 5 მ., თავ. ი. ზ. მელიქოვმა 5 მ., ვიცე გუბერნატორმა მიკლაშევსკიმ 3 მ., როზ. ბინდუროვისამ 5 მ., ტერ-დავით იარალიანცმა 3 მ., მ. რელიგიონისამ 3 მ., ე. კ. აკოფოვისამ 3 მ., ე. ნ. ხეჩინოვისამ 3 მ., ი. ა. კორძაიამ 2 მ., მ. გ. ანჯაფარიძისამ 1 მ. 50 კ., ლ. ნ. ანჯაფარიძემ 1 მან. 50 კაპ., თავ. ნ. ყ. თავდგირიძემ 3 მ., კ. ი. ჩხენკელმა 1 მ., ი. თალაკვაძემ 1 მ. სულ 1229 მ. ნივთები შემოსწირეს: წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ, კუხის მეაბრეშუმეთა ამხანაგობამ, კნ. ე. მ. გურიელისამ, კნ. ნ. ე. აგიაშვილისამ, კნ. ჯახ. გურიელისამ, კნ. ნ. აგიაშვილისამ, კნ. ე. გ. შარვაშიძისამ, ე. ი. აბდუშელიშვილისამ, ელ. აბდუშელიშვილისამ ნ. დ. აბდუშელიშვილისამ, ა. დ. აბდუშელიშვილისამ, ნ. ა. აბდუშელიშვილმა, თ. ა. აბდუშელიშვილმა, მ. ა. ხაბურზანიამ, გ. ბარათაშვილმა, ზ. მაჭავარიანმა, ანნა გრიგოლიამ, გვიტო მაჭავარიანმა, კნ. ბ. სუმბათოვისამ, ბარ. წერეთელმა, ა. ბ. ლორთქიფანიძემ, ვ. ნ. ჯორჯიკიამ, ბ. ი. კვირკელიამ, გ. მ. ცაგერეიშვილმა, ა. გ. გამრეკელოვმა, კნ. მ. ი. ლორთქიფანიძისამ, მ. ი. პაპოვისამ, გ. რ. ტატიშვილმა, მ. დავიდოვისამ, კნ. ბ. ს. წერეთლისამ, კნ. მ. მ. ერისთავისამ, კნ. მ. ო. ერისთავისამ, ა. ო. მდივანმა, ელ. ბადრიძისამ, კნ. მ. ყ. ნიჟარაძისამ, კნ. ნ. მ. თავდგირიძისამ, ვარ. ვოლსკიმ, კნ. მ. ს. თუმანოვისამ, კნ. ს. ნ. ლორთქიფანიძისამ, კნ. ს. ნ. მიქელაძისამ, მ. გველესიანისამ, ა. მეძმარეიშვილმა, ს. ნ. გერმანოვიჩმა, მ. ი. რუბანმა, ქალბ. ხოჯივანოვმა, კნ. ნ. მიქელაძემ, მ. გ. ძნელაძემ, თავ. ნ. ა. დადიანმა, მ. კლდიაშვილმა, ლ. პ. კოკოჩოვმა, ვ. ლ. ქორქაშვილმა, ა. დ. ბაქრაძემ, უფ. ბ. იოსელიანმა, ე. ა. კორძაიამ, მარია დიდიასამ, კ. ო. დ. ჯიჯავაძემ, კ. ო. დ. წულუკიძემ, კნიაჟნამ პ. წულუკიძემ, კალ. ლორთქიფანიძემ, ო. ნ. კანდელაკმა, ჟ. პ. კოკოჩოვისამ, პ. ფირალოვმა, მ. პ. ფირალოვმა, ნ. ს. გამრეკელოვისამ, ნ. ს. მესხმა, ა. ს. პეტრიაშვილისამ, ე. კ. აკოფოვისამ, ნ. ბ. ხელთუფლიშვილმა, ე. ი. ხელთუფლიშვილმა, პ. გ. წულუკიძემ, ე. გ. გამრეკელოვისამ, ქალბ. ლენცისამ, ე. ლ. ბრედერმა, თ. მეფისოვისამ, კნ. ვარ. ნიჟარაძისამ, ე. დ. ნიჟარაძისამ, მ. კ. მხეიძისამ, კ. ლ. კ. ლორთქიფანიძისამ, კ. ა. კ. ლორთქიფანიძისამ, მ. ი. ჩაჩიბაიამ, ბ. ზ. მაჭავარიანმა, ო. ლ. ქორქაშვილმა, ს. ბუტულოვმა, ე. მეფისოვმა, მ. ქორქაშვილმა, ზ. კ. ჩიკვაიძემ, მ. ვ. ჩიკვაიძემ, დ. ბანიაძემ, გ. ასათიანმა, მ. ი. კაუხჩევმა, ს. ფილიპოვისამ, ს. კერესელიძემ, ს. ალიბეგოვმა, ე. კ. ჯინოვისამ, ბ-ნებმა ფემეკეროვმა, საბაევმა, კემულარიამ, გოკიელოვმა, არაბიძემ, ოჰანეზოვმა, ფირალოვმა, ოცხელმა, მეგრელიშვილმა, ასათიანმა, გაბუნიამ, ანჯაფარიძემ, მიროგოვმა, კოსტოვმა, ახვლედიანმა, ფეიქაროვმა, ბალანჩივაძემ, ჭანტურიამ, ლორიამ, ჩიკვაშვილმა, აუშტროვმა, ცხაკაიამ, დარახველიძემ, ბოკერიამ, კასსუმ ალავერდოვმა, ე. ჭიჭინაძემ, ნ. ი. კემულარიამ, მ. გოგაუროვისამ, ნ. ხოფერიამ, ქ. ჩიქოვანმა, ნ. გიორგობიანმა, მ. ქორქაშვილმა, ვ. ი. გალავინმა, ე. ვარლამოვისამ, ე. ია. ნიკოლაძემ, ბ. ვ. კახდელაკმა, ნ. მღვდლიევისამ, ნ. გაბუნია-ცაგარლისამ, ნ. ა. აბულაძემ, ა. ა. აბულაძემ, ბ. ა. აბულაძემ, კნეინა მაყაშვილისამ 21 ნივთი ხონში შეგროვილი.

**ხარჯი:**

ბუფეტი 160 მ., ბავშვების გასართობი—სათამაშოები 28 მ., პატენტი 7 მ. 50 კ., მუზიკა და ზურნა 24 მ., ნათხოვარ ნივთების ქირა 24 მ., ნივთების ფასი 60 მან., მოსამსახურე ჯარის-კაცთა ქირა, საჭმელი, აფიშები, ფარნები და სხვა წვრილმანი ხარჯი 72 მ. სულ 375 მ. 50 კ. წმინდა შემოსავალი დარჩა 853 მ. 50 კ.

ამასთანავე დიდ მადლობას ვწირავ კურ. პოლ. კამანდირს პ. ვ. პალკოვნიკოვს, გამგე კომიტეტს: ქ-ნთ მ. ვ. ჩიკვაიძისას, ა. ს. პეტრიაშვილისას, ა. დ. ბაქრაძისას, ე. ია. ნიკოლაძეს და ო. ლ. ქორქაშვილისას; ბ-ნთ: ძ. ი. ბადრიძეს და ე. ძ. კრინიცკის; ბავშვების გასართობ ხელმძღვანელებს: ვ. ი. ალექსი-მესხიშვილს, ი. ო. ოცხელს; ბ-ნთ: ჯომარჯიძეს და ი. მ. გაბაშვილს; ქ-ნთ: ორჟიევს, მ. ი. კაჩუყოვს და მუსიელოვისას. აგრეთვე ბ-ხ ი. მკურნალს და ყველას, ვინც რაიმე თანაგრძნობა გაუწია ამ საქმეს.

ელენა ჯინოვისა

Дозволено цензурою, Тифлисъ 23-го Іюня 1899 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე